ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის
სხდომის ოქმი № 12

ქ. ლანჩხუთი

21.12.2022
17:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე **გიორგი იმნაიშვილი.**

კომისიის წევრები: ელისო ჭიჭინაძე, კახა თედორაძე, ლოლიტა ურუშაძე, ზაზა წულაძე, ჯუმბერ ბლაგიძე.

მოწვეული: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ალეკო კირვალიძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატები: ემზარ თევდორაძე, სპარტაკ კვაჭაძე, გივი ცინცაძე.

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პროექტ „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიის განვითარებისთვის (EV41TD) ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორის ფარგლებში“ განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: გიორგი იმნაიშვილი/

2.სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
მომხრე: 6; წინააღმდეგი: არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პროექტ „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიის განვითარებისთვის (EV41TD) ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორის ფარგლებში“ განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიას გააცნო მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ალეკო კირვალიძემ. მან აღნიშნა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პროექტ „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიის განვითარებისთვის (EV41TD) ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორის

ფარგლებში“ განსახორციელებელი პროექტების განსახილველად და მოსაწონებლად წარმოადგინა ზემოთაღნიშნული ფონდიდან 2023 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა. კერძოდ; ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ქვემო ჩიბათში ვიზიტორთა ადმინისტრაციული სახლის მშენებლობა, მდინარე ფიჩორზე არსებულ ტურისტულ ლოკაციაზე ღია ტიპის კაფის მშენებლობა და ე/წ ,,ჭაობის“ ნავების შემენა, რომლის სავარაუდო ღირებულება 480 000 ლარს შეადგენს. მისი თქმით, თითოეული ნავის ფასი დაახლოებით 80 000 ლარია.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:
წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.
სხდომის თავმჯდომარემ, **გიორგი იმნაიშვილმა** კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
მომხრე 6; წინააღმდეგი არცერთი.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და
ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: გიორგი იმნაიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-
ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის
კომისიის სხდომის დასკვნა №12

21.12.2022 წელი
17.00 საათი

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 21 დეკემბერს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პროექტ „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიის განვითარებისთვის (EV41TD) ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორის ფარგლებში“ განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: გიორგი იმნაიშვილი/

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პროექტ „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიის განვითარებისთვის (EV41TD) ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორის ფარგლებში“ განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.
მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და
ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: გიორგი იმნაიშვილი

ლაჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის

კომისიის სარეგისტრაციო ფურცელი

21.12.2022 წელი

17:00 საათი

N	სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1	გიორგი იმნაიშვილი	16 50	
2	ემზარ თევდორაძე	[illegible]	
3	სპარტაკ კვაჭაძე	[illegible]	
4	ელისო ჭიჭინაძე	16 50	
5	კახა თედორაძე	16 55'	
6	ლოლიტა ურუშაძე	16 55	
7	ზაზაწულაძე	16:50	
8	გივი ცინცაძე	[illegible]	
9	ჯუმბერ ბლაგიძე	16:50	